ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ74.74212046**

თარიღი:**23/07/2021**

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირობებიან და უპირობო ელექტრონულ აუქციონზე პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54- ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ და „ე.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, 118-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დაგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. პირობებიან და უპირობო ელექტრონულ აუქციონზე განხორციელდეს, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დანართი N1 და N2-ში მითითებული უძრავი ქონების პრივატიზება.
2. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა, უზრუნველყოს ელექტრონულ აუქციონზე უძრავი ქონების პრივატიზება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

თემურ ჩუბინიძე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება

N	ობიექტის დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი მ²	შენობა-ნაგებობის ფართობი მ²	ღირებულება (ლარი)	პირობა
1	ტყიბულის მუნიციპალიტეტის კურსების თემში (სოფელ გელათის ყოფილი საყოფაცხოვრებოს შენობა) მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით	ტყიბულის მუნიციპალიტეტის კურსების თემი, (გელათის დასახლება)	39.07.29.001	2765	1166,36	63000	შენობისა და ტერიტორიის მოწესრიგება 2 წლის განმავლობაში
2	ქ. ტყიბულში ჯავახიშვილის ქუჩაზე N16 -ის მიმდებარედ თავისუფალი მიწის ნაკვეთი	ქ. ტყიბული ჯავახიშვილის ქუჩა N16	39.01.22.028	2602		9000	უპირობო
3	ქ.ტყიბული, ტყვარჩელის ქ.N11-ის მიმდებარედ	ქ.ტყიბული, ტყვარჩელის ქ.N11	39.01.30.075	4275		28677	უპირობო
4	ქ.ტყიბული.ბარათაშვილის ქუჩის მიმდებარედ (გრესის მიმდებარედ)	ქ.ტყიბული, ბარათაშვილის ქუჩა(გრესის მიმდებარედ)	39.01.29.053	2530		9138	უპირობო
5	თავისუფალი მიწის ნაკვეთი თაბუკაშვილის ქუჩაზე	ქ.ტყიბული, თაბუკაშვილის ქუჩა (შახტის მიმდებარედ)	39.01.25.054	166		856	უპირობო
6	ქ. ტყიბული, ტყვარჩელის ქ. N57 (ძველი საავადმყოფო)	ქ. ტყიბული, ტყვარჩელის ქ. N57	39.01.30.018	13310	5574 მ2 და 168 მ2	1 290 000	შენობისა და ტერიტორიის მოწესრიგება 3 წლის განმავლობაში, ტერიტორიის ფუნქციური დატვირთვა
7	ქ. ტყიბულში, ეკლესიის მიმდებარედ განთავსებული 10 მ2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასაზე განთავსებული შენობა ნაგებობა,	ქ. ტყიბული, ეკლესიის მიმდებარედ	39.01.27.092	10	10	1100	შენობის მოწესრიგება 3 თვის განმავლობაში
8	ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ორპირში მდებარე 192 მ2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი,	ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელი ორპირი	39.05.27.284	192		3000	უპირობო
9	ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. ლეღვაში მდებარე 421 მ2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა(ავარიული)	ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელი ლეღვა	39.04.28.031	421	538	4700	შენობისა და ტერიტორიის მოწესრიგება 2 წლის განმავლობაში
10	ქ. ტყიბული, გამსახურდიას ქ. N38 (ყოფილი პოლიციის შენობა)	ქ. ტყიბული, გამსახურდიას ქ. N38	39.01.27.032	2753	1671.12 მ²	1 040 000	(გარდა პირველ სართულზე განთავსებული 130 მ² და 192 მ² ფართისა) შენობისა და ტერიტორიის მოწესრიგება 3 წლის განმავლობაში, ტერიტორიის ფუნქციური დატვირთვა

იჯარა (იჯარის ხელშეკრულების ვადა 2 წელი)

ობიექტის დასახელება	**მისამართი**	**საკადასტრო კოდი**	**მიწის ფართობი მ²**	**შენობა-ნაგებობის ფართობი მ²**	**წლიური ღირებულება (ლარი)**	**პირობა**
მოწამეთას მონასტერთან არსებული ვიზიტორთა ცენტრი, შენობები და საპარკინგე ადგილები	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. მოწამეთა,	39.07.33.133 39.07.32.358	1700 მ², 328 მ², 63 მ².	328 მ², 63 მ².	8000	○ ვიზიტორთა ცენტრში დამთვალიერებლებს უნდა ქონდეთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბუნებრივ და კულტურულ ღირსშესანიშნაობებზე. ○ შესაძლებელი უნდა იყოს სასურველ მარშუტებზე ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა. ○ ცენტრის თანამშრომლები ვიზიტორებს უნდა დაეხმარონ ან/და კონსულტაცია გაუწიონ ტურების დაგეგმვაში, სასტუმროების დაჯავშნაში, ავტომანქანების დაქირავებაში. ○ ვიზიტორთა სურვილის შემთხვევაში, მოიჯარეს უფლება აქვს მოახდინოს აღჭურვილობის გაქირავება (კარვები, დურბინდი, სამთო ველოსიპედი და სხვა). ○ მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს და მოაწესრიგოს სატრანსპორტო საშუალებების პარკირება საამისოდ გამოყოფილ ადგილებზე. ○ მოიჯარეს უფლება აქვს მიიღოს პარკირებისათვის განკუთვნილი საფასური. ○ <u>პირობების სრულად გაცნობა შესაძლებელი იქნება აუქციონზე თანდართული ხელშეკრულების პროექტის საშუალებით.</u>